საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №28
2014 წლის 13 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–5 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის, მე–5 მუხლის პირველი პუნქტისა და 42-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის N30 დადგენილების (სსმ III, N2, 09.01.2006 წ., სარეგისტრაციო კოდი 300.320.000.16.009.007.995) მე-4 მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მუხლში მოცემული ცხრილის მე-11 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

"

	კ) გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთის, ქოდალოს, ნანიანის, დარჩეთის და არაშენდას მომხმარებლები	29,236	10,779	41,398

".

ბ) ცხრილის 61-ე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"

	თ) ყოფილი სს „თეთრიწყაროგაზი“			
	– საშუალო წნევით მომხმარებლები	29,236	10,398	41,017
	– დაბალი წნევით მომხმარებლები	29,236	15,228	45,847

".

მუხლი 2

ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**ირინა მილორავა**
კომისიის წევრი	**სერგო მესხი**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**